საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№281/5

2023 წელი, 18 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის წევრების: თენგიზ შარმანაშვილის, ირაკლი ბერაიას, ხატია წილოსანის, ირაკლი ჩიქოვანის, გოგი მეშველიანის, რესან კონცელიძის, რატი იონათამიშვილის და ალექსანდრე დალაქიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე (N07-3/342; 28.06.2023) საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2023 წლის 3 ივლისის N275/1 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დაჩქარებული წესით განხილვის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 19-22 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — შალვა პაპუაშვილი